საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, III მ/რ, ნაკვ. №01.11.13.005.075-ში, მრავალფუნქციური შენობის პროექტი. საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში“.

შ.პ.ს. „ფოლადი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, III მ/რ, ნაკვ.№01.11.13.005.075-ში, მრავალფუნქციური მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, III მ/რ, ნაკვ.№01.11.13.005.075-ში, მრავალფუნქციური მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „თბილინვესტპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2016 წლის მარტში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟ. გეოლოგი ი. ცხომელიძე. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებების გამოკვლევა და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 6გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. გრუნტის ჭრის გრაფიკები ---------- 12გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე---------- 1გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 3ფურც
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 2ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 12 სართულიანი შენობა, სარდაფით. შენობის ზომებია გეგმაში 49.8X27.2 მ. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება შენობის მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე, ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, საერთო სიგრძით 45 მეტრი. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი გრუნტი
2. ფენა – 2 – თიხა, ძნელადპლასტიკური
3. ფენა – 3 – თიხა რბილპლასტიკური, ქვიშნარისა და ქვიშის ლინზებით.

ანგარიშში მოცემულია ზემოაღნიშნული ფენების (გარდა ნაყარი გრუნტებისა) დახასიათება. გრუნტის სიმტკიცის მაჩვენებლები დამუშავებულია სტატისტიკური მეთოდით. მიღებული შედეგების საფუძველზე, ავტორი იძლევა რეკომენდაციას ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 5.2-5.5 მ. სიღრმეზე. როგორც გამოკვლევებმა აჩვენა გრუნტის წყალი ხასიათდება საშუალო სულფატური აგრესიით.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, III მ/რ, ნაკვ.№01.11.13.005.075-ში, მრავალფუნქციური მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/